დანართი 4

დამტკიცებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

2011 წლის „ 17. 02 „

№ 19/02-01 ბრძანებით

ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლის ვალდებულებები

ა) განცხადებაში უშუალოდ მითითებული მიმართულებით მუშაობა;

ბ) მეცადინეობების დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება (სილაბუსების წარმოდგენა წერილობით);

გ) შუალედური და საბოლოო საგამოცდო საკითხების მომზადება;

დ) შუალედური და საბოლოო საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

ე) მაგისტრატურისა/დოქტორანტურის საგამოცდო საკითხების მომზადება და ნაშრომების გასწორება;

ვ) პერიოდული წერილობითი ანგარიშის მომზადება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ზ) შრომითი ხელშეკრულებით ან/და დამსაქმებლის მიერ დასაბუთებული, სწავლებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის წარმართვა;

არასპეციალური მიმართულებით შერჩეული მასწავლებელს დამატებით

დაევალება:

ა) განსაზღვროს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიურ პერსონა;ლთან და სტუდენტებთან შეთანხმებით ე.წ. „შეთანხმებული“ (negotiated) კურიკულუმის ფარგლებში აქტუალური დარგობრივი თემატიკა და ტექსტის სახეობები.

ბ) განახორციელოს მიმართულებისა და ჯგუფის ინტერესებს მორგებული შერჩეული მასალის დიდაქტიზაცია, შექმნას სასწავლო პორტფოლიო და შესაბამისი სილაბუსი.